ვულოცავთ !

ბატონ ვაჟა დიდმანიძეს დაბადების 70-ე და შრომითი საქმიანობის 53-ე წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და მომავალ ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჯ ალზრდის და განათლების დიად საქმეში.

ჟურნალის რედკოლეგია,
თბილისი, 5 მარტი 2013 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი ვაჟა ალფეზის ძე დიდმანიძე დაიბადა 1943 წლის 5 მარტს თბილისში. მან 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის „ავტომატიკისა და ტელემექანიკის“ სპეციალობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1966 წლიდან განაწილებით დაიწყო მუშაობა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში.

1971 წლიდან ვ. დიდმანიძე მუშაობას იწყებს სპი-ს ახლად ჩამოყალიბებულ **„მართვის ავტომატიზებული სისტემების“** კათედრაზე. იგი ამ კათედრის პირველი თანამშრომელია მიღებული ბრძანებით(სპი-ს რექტორის, პროფ. იოსებ ბუაჩიძის ბრძანებით დანიშნული ლაბორატორიის გამგედ). შემდეგ იგი ხდება კათედრის ასისტენტი (1976), უფროსი მასწავლებელი (1979), დოცენტი (1980), პროფესორი (1998), ამჟამად სრული პროფესორია.

სურ.1. მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა – 1981 წელი

ბატონი ვაჟა დიდმანიძე 1971 წლიდან კითხულობს ლექციებს მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობის სტუდენტებისათვის შემდეგ დისციპლინებში: ინფორმაციის გარდაქმნა და გადაცემა; ინფორმაციის ასახვის სისტემები და საინჟინრო ფსიქოლოგია; ელექტრონული მოწყობილობების კონსტრუირება და მონტაჟი; მონაცემთა მომზადება და ტელედამუშავება;

მართვის ავტომატიზებული სისტემების ტექნიკური საშუალებები; კომპიუტერის არქიტექტურა და ექსპლუატაცია (2006); ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები საინფორმაციო საზოგადოებაში (2013) და სხვ. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის სასწავლო ლაბორატორიები ზემომოყვანილ ყველა 6 დისციპლინაში.

პროფესორ ვ. დიდმანიძის ავტორობით ჩვენი სტუდენტებისათვის გამოიცა მრავალი სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურა, მათ შორის: „ინფორმაციის გარდაქმნა და გადაცემა“ (1987); „ინფორმაციის ასახვის საშუალებები ადამიანი-მანქანა სისტემებში“ (1998); „მონაცემთა მომზადება და ტელედამუშავება“ (1988); „მართვის ავტომატიზებული სისტემების აგების საფუძვლები“, (თარგმანი, 1981); „ოპერატორის სამუშაო ადგილის ორგანიზაცია ადამიანი-მანქანა სისტემებში“ (1997); მომზადებულია გამოსაცემად ელ-სახელმძღვანელო „პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა და ექსპლუატაცია“ (2013).

ვ. დიდმანიძემ 1977 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ძირითადი წარმოების დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავების მთავარი პრობლემები რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მაგალითზე“ და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1982 წელს – დოცენტის სამეცნიერო წოდება. სადისერტაციო თემის დამუშავების პროცესში რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ქიმიურ საამქროში დაინერგა ექსტრაქციის პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემა „ხერთვისი“ (1975).

სურ.2. მართვის ავტ.სისტემა „ხერთვისი”



სურ.3. რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში

ვაჟა დიდმანიძის ხელმძღვანელობით 1978 წელს შეიქმნა საქართველოში პირველი ავტომატიზებული სასწავლო აუდიტორია, აღჭურვილი აუდიო-ვიდეო სისტემებით (ვიდეოკამერა, ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორები, კინოეკრანი და სხვ.). 1983-1991 წლებში იგი განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური საბჭოს „სწავლების ტექნიკური საშუალებების“ წევრია.

1975, 1987 და 1991 წლებში ვ. დიდმანიძე ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთ სტუდენტთა დელეგაციებს საერთაშორისო საუნივერსიტეტო ოლიმპიადებზე. 1985 წელს იუნესკოს ეგიდით იმყოფებოდა სამეცნიერო სტაჟირებაზე სორბონას უნივერსიტეტში. პარი-8 უნივრსიტეტის რექტორატმა მას-ის კათედრას აჩუქა პერსონალური კომპიუტერი PC 286 AT. ეს იყო პირველი IBM PC/AT საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1988-1989 წლებში ვ. დიდმანიძე მუშაობდა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში (დირექტორი ნოე გიორგობიანი), სადაც შექმნა გამოთვლითი ცენტრი 22 პერსონალური კომპიუტერით.

პროფესორი ვ. დიდმანიძე 1989-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორად: ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში (1989-1992) და საღამოსა

და დაუსწრებელი სწავლების დარგში (1993-2005). ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტის მიზანდასახულ და გეგმაზომიერ კომპიუტერიზაციას (შემუშავდა უნივერსიტეტის კომპიუტერიზაციის პერსპექტიული გეგმა). დაინერგა უნივერსიტეტის პირველი მართვის ავტომატიზებული სისტემა, როგორც ადმინისტრაციულ-სამეურნეო, ასევე სასწავლო დარგებში. პირველად სტუ-ს ისტორიაში ცენტრალურ საწყობსა და მომარაგების განყოფილებაში ამუშავდა პერსონალური კომპიუტერი და სამეურნეო დარგის ქვესისტემა (1990). ამუშავდა ცენტრალური ბუღალტერიის ქვესისტემა (1991). ეს იყო პირველი ელექტრონული ბუღალტერია განათლების სისტემაში. 1992 წლიდან დაიწყო ფაკულტეტების გამოთვლითი ცენტრების ჩამოყალიბება და მისი აღჭურვა პერსონალური კომპიუტერებითა და პროგრამული პროდუქტებით. 2003 წელს შეიქმნა სტუ-ს ცენტრალური გამოთვლითი ცენტრი. 1992-2005 წლებში ვ. დიდმანიძე ხელმძღვანელობს „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს.

1987 წლის ნოემბერში საკავშირო ექსპოცენტრთან (EXPOCENTR) ერთად საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე ჩატარდა საერთაშორისო გამოფენა-კონფერენცია „საინჟინრო უმაღლეს სასწავლებლებში ავტომატიზებული სისტემების სწავლება - САПР-87“(ვ.დიდმანიძე დანიშნული იყო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ). გამოფენას დაესწრო მრავალი მეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე და აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში ჯეკ მეტლოკი, რომელმაც გამოფენა გახსნა ქართულ ენაზე.

1999 წლის ივნისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზებსა და საგამოფენო ტერიტორიაზე ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია-გამოფენა „გამოყენებითი პროგრამული ტექნოლოგიები“ SofTEC’99(ვ.დიდმანიძე დანიშნული იყო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ). ამ დიდი და საპასუხისმგებლო ღონისძიების ჩატარებისას კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი.

1999-2005 წლებში იყო პროგრამირებაში სტუდენტური ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სურ.4. პროგრამირებაში სტუდენტთა ოლიმპიადის შედეგები

სურ.5. მრგვალ მაგიდასთან

2001-2005 წლებში იყო „საინფორმაციო ტექნოლოგიებში სტანდარტების შემუშავების“ ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე. ტექნიკური კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდა 22 ორგანიზაციის 33 წევრი. (აღსანიშნავია, ამ კომიტეტის მიერ ქართული ანბანის ასო-ნიშნების კომპიუტერის კლავიატურაზე განლაგების სტანდარტის შემუშავება).

2001-2006 წლებში იყო ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის კოორდინატორი და მისი დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

სურ.6. ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის გახსნა -2001 წელი

2003 წელს სტუ-ს რექტორის, ბატონ რამაზ ხუროძისა და იუნესკოს გენერალური დირექტორის, ბატონ კოიჩირო მაცუურას ხელშეკრულების საფუძველზე სტუ-ში ჩამოყალიბდა **იუნესკოს კათედრა „საინფორმაციო საზოგადოება“.** კათედრის გამგედ დაინიშნა აკადემიკოსი **გოჩა ჩოგოვაძე**. დაარსების დღიდან ვაჟა დიდმანიძე ასრულებს კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობას საზოგადოებრივ საწყისებზე.

პროფესორი ვ. დიდმანიძე სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებასა და მათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის დაჯილდოვდა ღირსების მედლით (1998) და ღირსების ორდენით (2003).

ბატონი ვაჟა დიდმანიძე არის სწავლებაში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ინიციატორი. წლების განმავლობაში ლექციების ჩატარებისას იყენებს, კომპიუტერს და ვიდეოპროექტორს დიდ ეკრანზე როგორც ტექსტური, ასევე გრაფიკული, აუდიო და ვიდეო ფაილების ასახვისათვის; ლექციის ჩატარების პროცესში ინტერნეტიდან დროის რეალურ მასშტაბში მოძიებულ მასალებს და სხვ. მუშაობს ქართულ ენაზე დისტანციური (ვირტუალური) სწავლების საკითხებზე (ქართული ელექტრონული წიგნისა და ქართული ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნის პრობლემები), თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (პერსონალური კომპიუტერი, ინტერნეტი, ინფორმაციის ასახვა სივრცეში, მანძილსა და დროში, კომუნიკატორები და სხვა), სწავლების ანუ ცოდნის გადაცემის ახალ მეთოდებზე.

ვუსურვებთ პროფესორ ვაჟა დიდმანიძეს, სახელოვან მეცნიერს, დიდებულ ადამიანს, ღირსეულ მეუღლეს, მამას და 7 შვილიშვილის ბაბუას, დიდი ინტელექტის პიროვნებას მხნეობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს !

აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე,
აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი,
აკად.წევრ-კორ. გიორგი გოგიჩაიშვილი,
სტუ-ს კოლეგები,
მეგობრები და სტუდენტები